ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N66

2022 წლის 25 ნოემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ნოემბრის N114-11422312231 მომართვის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში შეტანილ იქნას ცვლილება და 2022 წლის 30 სექტემბრის N55 განკარგულებით დამტკიცებული საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი

საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დანართი

N	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	აუქციონის ფორმა	საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)	ბე (ლარი)	ბიჯი (ლარი)	შეძენილი ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი	გეგმის განხორციელების პერიოდი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ქ. ქობულეთი, მესხიძის ქუჩა N15-ის მიმდებარედ მდებარე 234,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.10.061	პირობების გარეშე ელექტრონული აუქციონი	11700	7000	500	გამარჯვებიდან ერთი თვის ვადაში	2022 წლის მეოთხე კვარტალი